

ქ.თბილისი

2017 წლის 25 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 25 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა, კომისიის წევრის ირაკლი ჩიქავას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი ჩიქავა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია და ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქავა.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი, მოწოდებული ვიდეომასალა და გამოკითხა მატჩის მომსახურე ოფიციალური პირები, ამა წლის 16 მარტს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე რუსთავის „ხარები“-სა და თბ „წიქარა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. კლუბ თბ „წიქარა“-ს მორაგბე ნ. გოგუა (№28) - კონფლიქტის მაპროვოცირებელი.
2. კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე თ. მოლაშვილი (№15) - კონფლიქტის მაპროვოცირებელი.
3. კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ბ. ბოჟაძე (№7) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრამპის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8 და სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.7, 2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ „წიქარა“-ს მორაგბე ნ. გოგუა დისკვალიფიცირებული იქნას 1 (ერთი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ „ხარები“-ს მორაგბე თ. მოლაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 1 (ერთი) სათამაშო კვირით.
3. კლუბ „ხარები“-ს მორაგბე ბ. ბოჟაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
4. კლუბ „ხარები“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.8 პუნქტი და კლუბ „ხარები“-ს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

ი. ჩიქავა

/ირაკლი ჩიქავა/